საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახნიაშვილი ავთანდილ (პაატა) სიმონის ძე

კახნიაშვილი ავთანდილ (პაატა) სიმონის ძე (5. VIII. 1928, თბილისი, – 10. III. 1983, იქვე), ინჟინერ-გამომგონებელი, საქართვ. დამს. გამომგონებელი (1975). 1950 დაამთავრა სპი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. 1950–59 მუშაობდა „სოფლპროექტსა" და „სოფლსახპროექტში", 1959-იდან გარდაცვალებამდე – „საქსახწყალპროექტში". მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი კონტეინერული პნევმატიკური ტრანსპორტის ხაზი. ავტორია 35 გამოგონებისა, რ-თაგან 14 დაპატენტებულია იაპონიაში, აგრეთვე აშშ-სა და დას. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი).

კ. იყო სპი-ის საესტრადო ორკესტრის პირველი კონფერანსიე (ა. გელოვანთან ერთად).

ლიტ.: გ ე ლ ო ვ ა ნ ი ბ., მოგონებები, თბ., 2013.